

## **საბრანტო კონკურსი ტრენინგების ჩატარებაზე სამოქალაქო მონიტორინგსა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვაში**

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი იწვევს საბრანტო განაცხადებს 2009 წელს ფონდის მიერ გამართულ სამოქალაქო მონიტორინგისა და მოქალაქეთა ინტერესთა დაცვის ტრენინგთა ტრენინგში მონაწილეებისაგან. კონკურსი წამოადგენს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის: *“მონაწილეობა და სამოქალაქო მონიტორინგი ცვლილებებისათვის”* შემადგენელ ნაწილს.

### **პრობლემის არსი**

მოქალაქეთა ფართო მონაწილეობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება, მათი შესრულების ხარისხის სამოქალაქო მონიტორინგი და ამით ხელისუფლების ანგარიშგაღებულების უზრუნველყოფა ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტია მდგრადი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად.

რეგიონებში ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას, სათემო კავშირს თუ აქტიურ მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფებს არ გააჩნიათ ამ სფეროში სათანადო ცოდნა და პრაქტიკა და არ მიუწვდებიან ხელი ხარისხიან ყოვლისმომცველ ტრენინგზე. დიდწილად ამის გამო მათი ძალისხმევა მოახდინონ გავლენა ადგილობრივ პროცესებზე, მომსახურების ხარისხზე და წარმართონ ისინი მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისად, წარუმატებლად მთავრდება.

აქედან გამომდინარე, მათთვის სამოქალაქო მონიტორინგის თანამედროვე მეთოდების სწავლება, საწყის ეტაპზე კონსულტირება და პრაქტიკული დახმარება გამოცდილი ტრენინგების მიერ ხელს შეუწყობდა მონიტორინგის პროფესიონალიზმისა და შედეგიანობის გაუმჯობესებას.

ამას გარდა, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ სამოქალაქო მონიტორინგისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის სფეროში მომზადებულ ტრენინგებს ეძლევათ საშუალება, რომ ტრენინგის დროს მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოიყენონ საზოგადოების სასარგებლოდ, დახვეწონ კვალიფიკაცია, დამკვიდრდნენ როგორც ტრენინგები და ამ კუთხით უკეთ ითანამშრომლონ რეგიონის სამოქალაქო სექტორთან.

### **კონკურსის მიზანი და ამოცანები**

მხარი დაუჭიროს ფონდის მიერ მომზადებულ ტრენინგთა კვალიფიკაციის შემდგომ ამადლებას და რეგიონებში სამოქალაქო მონიტორინგის მუდმივმოქმედი ტრენინგ-რესურსის შექმნას

მხარი დაუჭიროს ტრენინგთა მიერ თეორიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემას სამოქალაქო ჯგუფებისთვის რეგიონებში მონაწილეობითი მონიტორინგის პრაქტიკის დასანერგად და მისი პროფესიონალიზმის ასამადლებლად

## გათვალისწინებული აქტივობები

- ფონდის მიერ მომზადებულმა ტრენინგებმა დამოუკიდებლად შეიმუშაონ ადგილობრივ რეალობებს მორგებული და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული სამოქალაქო მონიტორინგის სფეროში ტრენინგის მოდული, რომელსაც განახორციელებენ თავიანთ რეგიონებში
- გააცნონ თავიანთ რეგიონებში არასამთავრობო, სახელმწიფო სექტორის და მედია საშუალებების წარმომადგენლებს ასევე დაინტერესებულ ჯგუფებს ტრენინგის შესაძლებლობის შესახებ.
- განახორციელონ მათ მიერ შერჩეული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, სათემო/საინიციატივო ჯგუფების და მედია საშუალებათა წარმომადგენლების ინტენსიური ტრენინგი და შემდგომი კონსულტაციები, რაც გულისხმობს ტრენინგის მონაწილეთა მიერ კონკრეტული საკითხის მონიტორინგის გეგმის შედგენას ტრენინგის ზედამხედველობით
- ტრენინგის დასრულების შემდეგ ტრენინგმა ფონდს უნდა წარმოუდგინოს:
  - ჩატარებული ტრენინგების დეტალური აღწერა, მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაციითა და მათი გამოსხმარებებით ტრენინგის ხარისხზე.
  - შეფასება თუ რამდენად აითვისეს ტრენინგის მონაწილეებმა თეორიული და პრაქტიკული ნაწილი (მონიტორინგის გეგმის საფუძველზე)
- პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს გრანტის მიღებიდან

## შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები

კონკურსით გათვალისწინებულია ოთხი (თვითთვეული 5000 აშშ დოლარი) ყველაზე წარმატებული განაცხადის დაფინანსება (ორი დასავლეთ და ორი აღმოსავლეთ რეგიონიდან).

### დაფინანსდება მხოლოდ ის განაცხადები რომლებიც:

- მაქსიმალურად მოიცავენ ტრენინგით თავიანთი რეგიონების სამოქალაქო სექტორს, განსაკუთრებით დამწყებ არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებსა და მედია საშუალებებს
- არ არიან ორიენტირებულნი რეგიონში ერთი და იგივე სამოქალაქო ან სათემო ორგანიზაციებზე (დუბლირების თავიდან ასაცილებლად), არამედ მოიცავენ სამოქალაქო/სათემო ორგანიზაციათა ფართო სპექტრს
- წარმოადგენენ ტრენინგის მონაწილეთა შერჩევის ობიექტურ და დასაბუთებულ კრიტერიუმებს
- შეიმუშავენ ყოველისმომცველ, სამიზნე აუდიტორიისათვის ადვილად აღსაქმელ, პრაქტიკულ გამოყენებაზე გამიზნულს და კონკრეტული სფეროების მონიტორინგზე გათვლილ განახლებად ტრენინგის მოდულს
- წარმოადგენენ ტრენინგის ხანგრძლივობისა და მათი რაოდენობის ოპტიმალურ ვარიანტს

- ტრენინგის მოდულში ასახავენ ადგილობრივი პირობებისადმი შესატყვის და გამოყენებად სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების ყველა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და მეთოდოლოგიას
- წარმოადგენენ ტრენინგის მონაწილეებისთვის ტრენინგის შემდგომი კონსულტაციების გაწევის ეფექტურ მექანიზმს
- მათი როგორც ტრენერების უკეთ წარმოდგენას და პოზიციონირებას, იმისათვის, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებმა მუდმივად ისარგებლონ მათი მომსახურებით

ობიექტური და მიუკერძოებელი შერჩევის უზრუნველსაყოფად პროექტების განსახილველად შესაძლოა მოწვეულ იქნა დამოუკიდებელი ექსპერტები. საბოლოო გადაწყვეტილება გრანტით დაჯილდოებაზე მიიღება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ.

კონკურში წარმოდგენილი პროექტების განხილვის პროცესში მონაწილეებს შეიძლება მოეთხოვოთ დამატებითი ინფორმაცია. განმცხადებელმა მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მოთხოვნიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.

### **პროექტის შედეგების შეფასება**

პროექტის მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხის დასადგენად, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობამ შეიძლება ჩაატაროს საგრანტო პროექტების დამოუკიდებელი შეფასება.

### **საგრანტო თანხა**

საგრანტო თანხები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ შემდეგი ხარჯებისთვის:

1. მონაცემებისა და ფაქტების შეგროვებასთან დაკავშირებული ხარჯები
2. პროექტთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები (მაგ. ფართის დაქირავება, თარგმანი, საკანცელარიო ნივთების შეძენა და ა.შ.)
3. კომუნიკაციები პარტნიორ ორგანიზაციებს და ტრენინგის მონაწილეთა შორის (ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა)
4. ტრენერის (ან ტრენინგის მონაწილეთა) ტრანსპორტით გადაადგილება
5. პროპორციულად განაწილებული ხელფასები და პონორარები პროექტის ძირითად მონაწილეებისათვის (მაგ. ტრენერი, ასისტენტი). პროექტის მონაწილეთა ხელფასებსა და პროექტის საქმიანობისათვის დახარჯულ საათების რაოდენობის შესახებ წარმოდგენილ უნდა იყოს მკაფიო ახსნა განმარტება.
6. ტექნიკის დაქირავება (მაგ. კომპიუტერი, პროექტორი) პროგრამული უზრუნველყოფა) და საკანცელარიო ნივთების შეძენა
7. პროექტთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ხარჯები

საგრანტო თანხები შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ პროექტის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებული საქმიანობების დასაფინანსებლად. საგრანტო თანხა არ შეიძლება გამოყენებული იყოს ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯების ან ვალების დასაფარად, სამშენებლო მიზნებისთვის ან უძრავი ქონების შესასყიდად.

**ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი არ აფინანსებს:**

- ჰუმანიტარული სახის პროექტებს
- პოლიტიკურ საქმიანობას ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას
- პოლიტიკური მიზნების ლობირებას (ფონდმა შეიძლება მხარი დაუჭიროს მხოლოდ საზოგადოებრივი და სოციალური სარგებლის მომტან საკითხების ლობირებას)
- განმცხადებლის სასამართლო საქმეების განხილვას ან სასამართლო დავებს
- რელიგიურ საქმიანობას (ფონდი შეიძლება დაეხმაროს რელიგიურ ორგანიზაციას ისეთ არარელიგიურ საქმიანობაში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ფონდის მისიას)
- პროექტებს მშენებლობის დარგში, რომლებიც განკუთვნილია კომერციული მიზნებისათვის
- ნებისმიერი სახის სამხედრო საქმიანობას
- მცირე კრედიტებს და სესხებს, საწყის კაპიტალს მეწარმეებისათვის
- თეორიულ კვლევებს
- ინდივიდუალური სამოგზაურო ან სასწავლო გრანტებს
- სამედიცინო აღჭურვილობის შექენას

**ვის შეუძლია მიიღოს კონკურსში მონაწილეობა**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს **2009 წელს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით Partners for Democratic Change მიერ ჩატარებულ სამოქალაქო მონიტორინგისა და მოქალაქეთა ინტერესთა დაცვის ტრენინგთა ტრენინგში**

**განაცხადის წარდგენის პროცედურა**

განმცხადებლებმა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- პროექტის ხუთი(5) ასლი რუსულ, ქართულ ან ინგლისურ ენებზე ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროექტის შედგენის ინსტრუქციების თანახმად.
- დეტალური და პუნქტობრივად გაწერილი ბიუჯეტი, ევრაზიის ფონდის პროექტის შედგენის ინსტრუქციების შესაბამისად

კონკურსში წარმოდგენილი პროექტები უნდა წარმოადგენდეს ორიგინალს და იყოს მხოლოდ და მხოლოდ განმცხადებელი ორგანიზაციის ნამუშევარი. ნებისმიერ პლაგიატობას შედეგად მოჰყვება ორგანიზაციისა და პროექტის დაუყოვნებლივი დისკვალიფიკაცია კონკურსიდან.

კონკურსზე წარმოდგენილი ყველა მასალა და დოკუმენტი რჩება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის განკარგულებაში. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას ფონდი გამოიყენებს მხოლოდ და მხოლოდ განხილვის მიზნით და არ მიაწვდის ამ ინფორმაციას გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, იმათ გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან მოთხოვნილია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დამფინანსებლების მიერ.

განაცხადის ფორმები, პროექტის შედგენის გზამკვლევი და სხვა ინსტრუქციები შეგიძლიათ მიიღოთ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობაში 10:00 დან 18:00 ან ჩამოტვირთოთ ვებ-გვერდიდან

[www.epfound.ge](http://www.epfound.ge) იქვე შეგიძლიათ იხილოთ სასარგებლო ინფორმაცია (ბმულები და დოკუმენტები) რომლებიც დაგეხმარებათ პროექტის შედგენაში.

**კონკურსის განრიგი**

განაცხადების მიღების ბოლო ვადა 2010 წლის 1 მარტი 18:00

კონკურსის შედეგების გამოცხადება 2010 წლის 16 მარტი

**საკონტაქტო ინფორმაცია**

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მისამართია ქ. თბილისი, 0179, კავსაძის ქ. №3

ტელ/ფაქსი: (995 32) 25-39-42; 25-39-43; 22-32-64.

საკონტაქტო პირი ზაალ ანჯაფარიძე, პროგრამის კოორდინატორი